ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 312

"18" ოქტომბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა №23-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.19.24.004.056) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა №23-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.19.24.004.056) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 11 სექტემბრის №19.966.1234 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქიზიყის №23-ის მიმდებარედ ს.კ №01.19.24.004.056

	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ფართი	საკადასტრო კოდი
1	ნანი ჯიხვაშვილი	41001030150	56.89კვ.მ	01.19.24.004.056.01.501
2	თამარა კვიციანი	15001015270	37.14კვ.მ 2.85კვ.მ	01.19.24.004.056.01.500 01.19.24.004.056.03.500
3	გოდერძი მახარაშვილი	01033002177	83.51კვ.მ 2.30კვ.მ	01.19.24.004.056.01.502 01.19.24.004.056.01.503